ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 18 დეკემბერი 1903 წ. 1877 წელიწადი ოც-დამეშვიდე 1903 ხუთშაბათი, 18 დეკემბერი 1903 წ.

ივერია

№ 270 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 270

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ. — კ.
11	,,	9 ,, 50 ,,
10	,,	8 ,, 75 ,,
9	,,	8 ,, — ,,
8	,,	7 ,, 25 ,,
7	,,	6 ,, 50 ,,
6	,,	6 ,, — ,,
5	,,	5 ,, 50 ,,
4	,,	4 ,, 75 ,,
3	,,	3 ,, 50 ,,
2	,,	2 ,, 75 ,,
1	,,	1 ,, 50 ,,

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს — 5 მ. და თიბათვის 1-ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს — 4 მ., მარტის 1-ს 3 მ. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.
3. ხელის მოწერის დროს — 3 მ., მარტის 1-ს 3 მ., თიბათვის 1-ს — 2 მ. და ენკენისთვის 1-ს — 2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება.

1904 **წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ** 1 თებერვლამდე, **დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა"** („Воскресеніе"),

5 **მანეთად ტფილისში** და 7 **მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.**

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—«ივერიის» რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში:—ნიჟარაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საზუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ხასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ალექსანდრა კონსტანტინეს ასული თარხან-მოურავისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა: მეუღლე მისი **იოსებ რევაზის ძე**, შვილები—**დავით, ილია და ელენე** და რძალი **ნადეჟდა ალექსის ასული.** ცხედარს გამოასვენებენ, პარასკევს, 19 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, სუდების ქუჩა № 41, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ეკლესიაში, იქიდან ტფილისის ვაგზალზე, საიდანაც წაასვენებენ სოფ. ვარდისუბანს, გორის მაზრაში, დასაკრძალავად. პანაშვიდები იქნება ხუთშაბათს, 1-ლ საათ. და საღამოს 7 საათზედ.

1—282—1

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების.

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემული

კედლის კალენდარი

1904 წლისა,—ფასი 70 კაპ.

კალენდარი დასურათებულია.—კალენდარში აღნიშნულია ისტორიული მოვლენანი.—კალენდარში დაბეჭდილია ბიოგრაფიები ქართველ და უცხო მწერალთა და მოღვაწეთა, ცნობები საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ, ცნობები მსოფლიო ისტორიიდან და სხვა მრავალი გამოსადეგი ცნობანი.

კალენდარი დიდი ფორმატისაა (როგორც Кавк. Кал.)

საქართველოს კალენდარი

გამოვა საშობაოდ. (3—3)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

მედეა

დრამ. 4 მოქმ. ლ. სუვორინისა და ბურენინისა თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ნებიერიძისა, ნ. ჩხეიძე ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 19 დეკემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქმნება

მაზეპა

ოპერა 3 მოქ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ფერტიგი, კარრი, სელიუკი როზხატოვსკაია; ბ-ნნი დარსკი, ილიუშენკო, ამირჯანი, ეგლახოვი, გავრიილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ კავკასიის სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო კრება რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენდება საზოგადოებას ნამდვილ წევრის ა. ა. არაქელიანისა „ქურთები სპარსეთში".
2. ამორჩევა ნამდვილ წევრებისა.

კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიან უფასოდ. (2—მ.—2).

1904 წელს ჟურნალი

„მოგზაური"

მთავრობის ნება-დართვით.

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილად გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე 5 მანეთია, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელმოკლე დაწესებულებათათვის—4 მანეთი.

ადრესი ფოსტით: Тифлисъ, Редакція „МОГЗАУРИ" (Межевая ул., № 72).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კაკოევი. საზრდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მოწინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 17 დეკემბერი.

მკითხველს მოეხსენება, რომ უფალმა ღმერთმა სულის წმინდის შუამავლობით მოციქულებს მიანიჭა ცოდნა სხვა და სხვა ენისა, რათა მათ შესძლებოდათ ყოველ ერისთვის ექადაგნათ დედა-ენაზე და ამავე ენაზე ესწავლებინათ ლოცვა, ღვთის ვედრება. რად ინება ასე? განა უფალს არ შეეძლო მოციქულების ებრაულ ენის ცოდნა მიენიჭებინა ყველა ხალხისათვის? რასაკვირველია შეეძლო. ყოვლად შემძლებელის შემოქმედისათვის როგორც პირველი იყო ადვილი, ისე მეორე. მაგრამ მან პირველი არჩია და არა მეორე. რად?

რად და იმიტომ, რომ უცხო ენა სრულიად უძლურია აღზარდოს, გაფურჩქნოს და სრულის ძლიერებით გამოხატოს ის მაღალი და ღრმა მოძრაობა სულისა, რომელსაც ჰქვიან სარწმუნოებრივი გრძნობა. სარწმუნოება, სასოება მთლად და სავსებით სუფევს ადამიანის გულში და მხოლოდ გულში. ღმერთი არის მეუფე გულისა და უფალსაც მხოლოდ ეს უნდა. გულსა და გრძნობას კი ესმის მხოლოდ დედა-ენა; სხვა რომლისამე ენისა არაფერი გაეგება. სხვა ენების ცოდნა მხოლოდ მეხსიერებაზედაა დამოკიდებული, და გულთან-კი არავითარი კავშირი არა აქვს. ამიტომ ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, სავსებით გამოიხატება მხოლოდ დედა ენით. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ. როცა ქართველი ამბობს, მაგალითად, მამაო ჩვენოსა, ლოცვა ამოდის გულის სიღრმიდგან, იგი წრფელია, მხურვალე და საამო უფლისა. როცა ამავე ლოცვას იგივე ქართველი წარმოსთქვამს უცხო ენაზე, გული სრულიად ცივი რჩება, გრძნობასა სძინავს და მხოლოდ მეხსიერება მოქმედობს. ასეთ მეხანიკურს, ასეთ ცივს ლოცვას არავითარი ფასი არა აქვს უფლის წინაშე. არ ათბობს ასეთი ლოცვა თვით გულს მლოცველისასაც.

ამისათვის ყოველი ერი ძვირად აფასებს წირვა-ლოცვას თავისს დედა ენაზე და დიდ უბედურებად მიაჩნია უცხო ენის შემოღება ეკლესიაში და სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებისათვის...

საზოგადოდ, დედა-ენა სარწმუნოებრივს გრძნობაზე ისე მოქმედებს, როგორც მაისის მზე ბუნებაზე. უცხო ენა კი სუსხამს და აჭკნობს ამ გრძნობას ზამთრის სიცივესავითა.

ამის გამო, თუ რომელსამე ქვეყანაში წირვა-ლოცვა და ქადაგება მეტ ნაკლებობით სრულდება უცხო ენაზე და საღმთო სჯულიც მასზედვე ისწავლება, იქ ყოვლად შეუძლებელია ღვთის მსახურება და სარწმუნოება არ გაცივდეს, არ დაჭკნეს, არ გათახსირდეს და არ გამეფდეს გულგრილობა უფლისადმი, ურწმუნოება და ზნეობის გახრწნილობა. ამისთანა ქვეყანაში სამღვდელოება მეხანიკურად, უსულ-გულოდ ასრულებს საეკლესიო წესებსა, ხალხი გულს იცრუებს წირვა-ლოცვაზე, ღვთის მსახურება აბუჩად არის აგდებული, ეკლესიები და მონასტრები ცარიელნი რჩებიან და მთელი ერი ულმერთობის გზაზეა დაყენებული.

ტფილისი

დღეს, 18 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება „მედეია", დრამა 4 მოქმედებად, სუვორინისა, თარგმ. დ. მესხისა. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. „მედეია" კარგი პიესაა და იმედია, ჩვენი საზოგადოება დღეს მრავლად მივა ქართულს თეატრში.

19 დეკემბერს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია რამდენისამე საყურადღებო საგნის განსახილველად

კრება სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრთა.

ქალაქის საბჭოს სასწავლებელთა კომისიას ტფილისის ქალაქის გამგეობამ 1,500 მანეთი გადასცა ქალაქის სკოლებში მოსწავლეთათვის გასართობების მოსაწყობლად შობა-ახალწლის უქმეებში. ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ 100 მანეთი მისცა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს, 10 მანეთი დედათა პროფესიონალურს სასწავლებელს, დანარჩენ 1300 მანეთს გაუყოფს 18 პირველ-დაწყებით სკოლას.

ამას შემდეგ საქონლის პატრონთ შეუძლიანთ საქონელი დააზღვევონ. თუ მათი საქონელი უვარგისად იქმნა ცნობილი ბეითლებისაგან, მაშინ ამ დაწუნებულ საქონელში ფული მიეცემათ. ეს საქმე ტფილისის ქალაქის გამგეობამ ითავა და ამის შესახებ ნებართვა კიდეც მიიღო ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისაგან. საქონლის დაზღვევა აზრად აქვს ქალაქის გამგეობას მომავალ წლის პირველ იანვრიდან შემოიღოს.

ტფილისის ქალაქის თავმა თავ. არღუთინსკიმ ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის ქალაქის 1904 წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

1904 წლის 15 იანვრამდე უთუოდ უნდა გაიგზავნოს ყველა ის ექსპონატები, რომელიც დამზადებულია გასაგზავნად სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე, 15 იანვრის შემდეგ გაგზავნა გვიან იქმნება.

სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე ექსპონატებს გაჰგზავნიან კავკასიის საუფლისწულო მამულები. გაგზავნილ იქმნება ღვინო, ჩაი და სხვა. ეს ექსპონატები ცალკე პავილიონში იქმნება მოთავსებული.

18 იანვარს დანიშნულია არჩევნები კოჯრის რწმუნებულთა. კოჯრის მოურავმა ამას წინად წარუდგინა ტფილისის გუბერნიის საქმეთა საკრებულოს მათი სია, რომელთაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ამ არჩევნებში. საგუბერნიო საქმეთა საკრებულომ ეს სია უკანვე დაუბრუნა კოჯრის მოურავს ზოგიერთ ცვლილების შესატანად სიაში. კოჯრის მოურავს შეუსწორებია ეს სია და ხელახლა წარუდგინა საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს.

ტფილისის კრუჟოკის ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ წელს კარგი შემოსავალი ჰქონია კრუჟოკს. საწევრო ფული შესულა 8,310 მანეთი, სტუმართაგან შემოსულა—10,206 მანეთი, სათამაშო ქაღალდიდგან—21,541 მანეთი, ჯარიმებისა—11,346 მანეთი, ბილიარდისა—2,329 მანეთი, ნარდისა—240 მანეთი, სულ შემოსულა 85,653 მან. 20 კაპ. ხარჯი ყოფილა ამავ ხნის განმავლობაში 65,954 მ. 27 კ. 1903 წლის პირველ დეკემბრისათვის დარჩენილა—19,698 მ. 93 კაპ. მთელი თანხა კრუჟოკისა 15 დეკემბრისათვის 93,452 მ. 69 კ. უდრიდა.

15 დეკემბერს სუფსარქისის ქუჩაზედ კოჩაროვის სახლში ქორწილს იხდიდნენ. შექეიფიანებულმა სტუმრებმა ჰაერში რევოლვერების სროლა დაიწყეს. ტყვია შემთხვევით მოხვდა ქუჩაზე 8 წლის ბავშვს და იქავე მოკლა. ტყვია რომელმა სტუმართაგანმა მოარტყა, ჯერ ვერ გაუგიათ. როდესაც პოლიცია მივიდა სტუმრებთან, რევოლვერი აღარც ერთს არ აღმოაჩნდა. პოლიციამ ერთი სტუმართაგანი ეჭვით დააპატიმრა.

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას, შემწეობა აღმოგვიჩინე 300 მანეთითაო. ეს ფული გვჭირდება სამეცნიერო-პოპულიარულ ბროშურების დასაბეჭდად ხალხში გასავრცელებლადაო. ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ სამკურნალო საზოგადოების თხოვნა დააკმაყოფილა. სამკურნალო საზოგადოება მადლობას უძღვნის ქალაქის თვით-მმართველობას და ამასთანავე სთხოვს, ამისთანა შემწეობას ნურც შემდეგს წლებში მოგვაკლებთო.

ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობას წარედგინა პროექტი სავალდებულო დადგენილებისა. ეს დადგენილება შეეხებოდა ცხენის რკინის გზის ყურის გდებას. ქალაქის გამგეობამ ეს პროექტი მოიწონა.

თაიროვის მემკვიდრეთა სახლი დაიქირავეს ამას წინად ტფილისის ქალაქის სკოლის მოსათავსებლად. ამ სახლში სწავლა უკვე დაიწყო. ქალაქის სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარემ და ტფილისის ქალაქის თავმა ამ დღეებში დაათვალიერეს ეს შენობა და უვარგისად იცნეს სკოლისათვის, ნამეტნავად იმისათვის, რომ მეტად ცივი შენობაა. მოსწავლენი დათხოვნილ იქმნენ და შეუდგნენ ახალ შენობის მოძებნას.

1905 წლიდან ტფილისის საკომერციო სასწავლებელში მოწვეულ იქმნებიან მასწავლებელნი სამღვთო წერილისა, ერთი ლიუტერანი, მეორე-მაჰმადიანი, მესამე ებრაელი. ამ სამს ენაზედ აქამდე სამღვთო წერილს არ ასწავლიდნენ.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორის სისტემის ფილტრები უნდა გაჰმართოს ავჭალაში წყლის მილის დასაწმენდად იმ 50.000 მანეთით, რომელიც ქალაქის საბჭომ გადასდო ამ საქმისთვის. ინჟენერ ლისიცევის პროექტით, 50,000 მანეთი საკმაო იქმნება პეშას სისტემის ფილტრების გასამართავად. ინჟ. ლისიცევმა განაცხადა, ფილტრების გამართვა შეიძლება მოვასწროთ 1904 წლის ივლისისათვის, თუ ამ ზამთარშივე შევუდგებით მუშაობასაო. ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ინჟინერ ლისიცევს, რომ მან ერთის კვირის განმავლობაში წარუდგინოს ქალაქის გამგეობას დაწვრილებითი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ ფილტრებისა.

როგორც ვწერდით, თავ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „ღალატი“ ძალიან მოეწონა რუსეთის საზოგადოებასა. ახლა რუსეთის გაზეთები იუწყებიან, მოსკოვის საიმპერატორო პატარა თეატრი ამ პიესას რამდენჯერმე წარმოადგენს ამ სეზონშიო. როგორც გაზეთების განცხადებისაგან სჩანს, „ღალატი“ დანიშნული ყოფილა წარმოსადგენად სამს დღეს ზედი-ზედ: 15-ს, 17 და 19 დეკემბერს.

დღეს საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაა დანიშნული.

კავკასიის ჯარის პირველ კორპუსის უფროსად, ახლად გარდაცვალებულ თავ. ამირეჯიბის ნაცვლად, დაინიშნა ყარსის ციხის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი იაცკევიჩი.

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ხორცის დუქნების გამგე კომისიის დადგენილება დუქნების გამგედ ბ-ნ კანცელმახერის დანიშვნის შესახებ.

ვენის საოპერეტო დასის დირექტორს ჰენრიხ ცელლერს 13 დეკემბერს „ტილიპუჭურში“ უსადილნია და წასულა. სტოლზე დარჩენია ქაღალდში გახვეული ფული 310 მანეთი. 15 წამის შემდეგ ცელლერი დაბრუნებულა რესტორანში, მაგრამ ფული არ დახვედრია. ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ რაჭის მაზრის მცხოვრებ დალაქიშვილზე, რომელიც რესტორანში მსახურებდა. დალაქიშვილი შეუპყრიათ.

ჩვენებური ამბები

აგარაკი სალორია (ქუთაისში). აგარაკი სალორია მდებარეობს რიონიდან ქუთაისისაკენ მარჯვენა მხარეს სადგურ ქუთაისიდამ ტყიბულის რკინის გზის მოსახვევ შუა. ამ რამდენიმე წლის წინად ეს ადგილები წარმოადგენდა უბრალო ბუჩქებით დაფარულს მინდვრებს, სადაც ნახირი თავს იქცევდა. დროთა ვითარებამ თავისი მოიტანა და აქაც გამოჩნდნენ მოქირავენი: დაიქირავეს ქალაქისაგან (ადგილები საქალაქოა) ქცევა სამ მანათად, ასე რომ მალე აგარაკი სრულიად დაიკავეს მოქირავნეებმა, რომლების უმეტესობა სოფლიდან ჩამოვიდნენ. გაიმართა გვარიანი სოფელი. გაწმენდილი ადგილი თავის მდებარეობით მოსაწონი შეიქნა და ამიტომაც დიდძალი მუშტარიც გაჩნდა. შეიქმნა ვაჭრობა, მოიჯარადრე თავის დაქირავებულ ადგილს აძლევს ახალ მოქირავნეს. ამ რიგად თითო მოიჯარადრემ თავის დაქირავებულ ადგილზე ხუთიდან ათ მოსახლემდე დაასახლა და გაშენდა მთელი სოფელი. ეს ყოველივე ხდებოდა ქალაქში და ქალაქს-კი ყურადღება არ მიუქცევია.

მოაწია ხელახალის კანტრაკტის შეკვრის დრომ. ქალაქმა მოიჯარადრეებს გამოუცხადა, თქვენი ადგილები ეხლა სოყანე არ არის და ამიტომ ახალი გადასახადი უნდა გადაიხადოთო, ასე რომ ქცევაზე სამ მანეთის მაგივრად ეხლა ათიდან ოც მანეთამდე უნდა გადაიხადოთო. მცხოვრებლებს არ მოეწონათ ასეთი არა ჩვეულებრივი იჯარა და უარი უთხრეს. გაიმართა საჩივარი. ქალაქს უნდა აეყარა მოსახლეები. ეს გარემოება მცხოვრებლებმა მოახსენეს გუბერნატორს, უპატრონოთ ვართ დატოვებული, გზა არა გვაქვს, არც ფარნები და არც ერთი „გოროდოვოი“ არა გვყავს დანიშნული; მთელი სოფელი რომ ამოწყდეს ან გადიწვას, კაცი ვერას გაიგებსო.

ბ-ნ გუბერნატორმა ფიცხლავ მისწერა ქალაქის თავს, შეადგინა პლანი ადგილებისა, დაატოვებინა კანონიერი გზა თავის გზაწვრილებით და ლალა გადაახდევინებინა 9—10 კაპეიკამდე. ხალხი გუბერნატორის დადგენილებას დიდის სიამოვნებით მიეგება, მაგრამ ქალაქმა აქაც იუკუღმართა და დანიშნა ვაჭრობა, და თვით მოიყვანა მყიდველები, რომელთაც რამდენიმე ადგილი აიღეს, საჟენი 20 კაპეიკად გახადეს. მცხოვრებლებს ამდენი გადასახადი არ შეეძლოთ და ისევ გუბერნატორს სთხოვეს რომელმაც თავის წინანდელი გადაწყვეტილება დაამტკიცა.

ხალხი კმაყოფილი დარჩა. სრულიად დამშვიდებულს ხალხს ერთ დღეს გამოეცხადა ბ. თომა მთავრიშვილი ამხანაგებით და გამოუცხადა, მე სახლები უნდა შევაფასო და შემოსავლიდან ქალაქმა უნდა ისარგებლოსო. ამ ახალმა ამბავმა ახალი თავ-ზარი დასცა ხალხს.

მცხოვრებლებს ეგონათ, რადგან ორ გადასახადს გვახდევინებს ქალაქი, გზას და ფარნებს მაინც გაგვიკეთებსო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ქალაქის თავი არაფერზე არ შეწუხდა. დიდ ლიანდაგის პირად არის დაწყებული მთელი სალორია, გზა მოუხვინავია, წითელი მიწაა, არც ერთის მხრივ არხი არა აქვს, ალაგ გორაკი გზაა, ალაგ ჩავარდნილი. საცოდავს სანახავს წარმოადგენს ავდარში მცხოვრებლების მისვლა-მოსვლა. წყლის მზიდავს წყალი არ მოაქვს და რადგან ჭის წყალი ცოტაა, უმრავლესობა წვიმის წყლით საზრდოობს.

გაჭირვებულმა ხალხმა მოიყარა თავი, ქალაქის თავს აუხსნა გაჭირვება, უგზოუკვლობა, უფარნობა. თავმა გაიკვირვა თურმე, მას არც-კი სცოდნოდა საქმის გარემოება, დაჰპირდა ყველაფერს.

მოვიდნენ ინჟენერი, გამგეობის წევრი, გამიჯნეს გზები და დაურიგეს მოსახლეებს სამ-სამ თუმნის განცხადება. ეს ფულები შემოიტანეთ და გზა გაეკეთდებათო. ლატაკმა ხალხმა ეს ვერ შესძლო და ამით ქალაქმა გზის საქმე აიცილა თავიდან. მეორედ სთხოვეს ბ-ნ ქ. თავს, რაც გადასახადი გვაქვს, იქიდან გააკეთეთ გზა და მერმე ისევ ჩვენ გადაგვახდევინეთო, მაგრამ მაინც დარჩა ხალხი უგზოდ. ამას კიდევ ის დაემატა, რომ რკინის გზის ნაწრეტი წყლები მოსცდა გზას, ხან ერთ ეზოს იკლებს, ხან მეორეს, ამას წინად მიუვარდა ივანე ანდღულაძეს და ერთიანათ წალეკა. ბევრი იტირა ივანემ ქალაქის გამგეობაში, მაგრამ ასე უთხრეს „წყალია დამნაშავეო“.

აი ამნაირს გაჭირვებაში არიან სალორიის მცხოვრებლები: არც გზა, არც წეს-რიგი, მთელ ას მოსახლეს მხოლოდ ოთხი ფარანი აქვს და იმასაც კვირაში ერთხელ თუ ააბჟუტებენ, ნუ თუ სადმე სხვა ქალაქში არის ამოდენა ხალხი ასე უპატრონოდ დატოვებული! მცხოვრებლები, რომლებიც ორ წილ გადასახადს უხდიან ქალაქს, ნუ თუ არ არიან ღირსნი, რომ ქალაქმა იზრუნოს რამე?

ისევ ის ვარ

რუსეთი

მრავალ რეფორმათა შორის, რომელიც რუსეთის მთავრობამ განიზრახა შემოიღოს სახელმწიფოში, დიდის ყურადღების ღირსია რეფორმა გუბერნიის სამმართველოსი. ჰფიქრობენ, ერთის მხრივ, სამინისტრო გაანთავისუფლონ მზრუნველობისაგან და მრავალ მოვალეობისაგან ყოველ განცალკევებულ გუბერნიის კერძო საქმეთა შესახებ, რომელთა გარდაწყვეტა ეხლა მხოლოდ სამინისტროს ეხელმწიფება, და, მეორეს მხრივ, გუბერნატორს მეტი უფლება მიანიჭონ და გუბერნიის სამმართველოს მოვალეობა გააფართოვონ. ამისი პროექტი შეუდგენია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ გუბერნატორთა კომისიას და ამიტომ ადვილი მისახვედრია, —ამბობს გაზეთი «პეტერბ. უწყება», — რა

ფელეტონი

ღალატი

(შემდეგი *)

III

ზეინაბი (ოთარ-ბეგს).—მოიცა, ოთარ-ბეგ. მაგრამ იქმნება ორბელიანთან მიეშურები სანადიროდ? ამბობენ, აქ ახლომახლო დათარეშობს თავისის ბრბოთიო.

ოთარ-ბეგ.—დედოფალო, ხსენებითაც-კი არ მინდა გავიხსენო მოღალატენი, არამც თუ ვიფიქრო მათთვის.

ზეინაბი. შენის თავისთვის ძალიან ფიქრობ?!

ოთარ ბეგი. მე მოღალატე არ გახლავარ. რით დაგარწმუნო, რომ ერთგული ვარ?

ზეინაბი.—ვისი?

ოთარ-ბეგი. ჩემის ბრძანებლისა და შენი.

ზეინაბი. ისიც ორივესი?

ოთარ ბეგი (ვერ მიმხვდარა, რას ჰკითხავს) —მეფე და დედოფალი ჩემთვის განუყოფელნი არიან. (უცქერის). სწორედ იმიტომ ვაგვიანებდი და არ ჩამომყვანდა გაიანე მეფე სოლეიმანის მისართმევად, რომ კეთილი მინდოდა შენთვის, დედოფალო. ჩვენ, ხანში შესულთ, სული წაგვძლევს ხოლმე ყმაწვილის ქალის შვენებაზე. მაგრამ შენ თვითონ მოინდომე და გაიხსენე გაიანე და ჩემი რაღა ბრალია.

ზეინაბი. მაშ, ჩემთვისა ჰზრუნავდი? გმადლობ, ჩემო დიდის ხნის ნამსახურო. მე-კი მეგონა, წინანდელმა თავადურმა თავ-მოყვარეობამ წამოჰკრა-მეთქი. გაიანე ხომ შენი ერთად-ერთი ქალია?

ოთარ-ბეგი.—არა, დედოფალო...

ზეინაბი.—ვიცი. მაგათ არ ვამბობ. მარიამისაგანა-მეთქი, მუხრან-ბატონის ქალისაგან ხომ ეგ ერთად-ერთი გყავს?

ოთარ-ბეგი (ხმა შეუკანკალდება).—ერთად-ერთი!..

ზეინაბი.—მითხარი იმის ამბავი. მაღალ-მაღალია, ტანადი?

ოთარ-ბეგი.—ტანადია... მაღალ-მაღალიცაა.

ზეინაბი.—მახსოვს იმისი თვალები.

ოთარ-ბეგი.—ოჰ, იმისი თვალები... არა, თვალები არ უვარგა, დედოფალო!

ზეინაბი. სტყუი. (ოთარ-ბეგი თავს დაჰღუნავს). გაიანეს დედას ისეთი თვალები ჰქონდა, რომ მის ბადალს მთელს შენს ჰარამხანაში ვერსად ჰნახავ.

ოთარ-ბეგი. მამა რა დამფასებელია თვისის ასულის სილამაზისა, დედოფალო! ხასიათი აქვს გაბედული და... (ძლივს აზერხებს თქმას) თავ-მომწონე, გოროზი... ნადირობა უყვარს და, როცა გამოეკიდება ნადირს, ისე მიაქროლებს უხედნელს ცხენს, თითქო ქარიაო. ვშიშობ, ვაი თუ არ მოეწონოს ასეთი ხასიათი მეფეთ-მეფეს. (ისე შეჰყურებს ზეინაბს, თითქო ევედრებაო).

ზეინაბი (თვალს არ აშორებს).—მეფეთ-მეფე მოარჯულებს, მოალბილებს მის ხასიათს. სიზმარივით მახსოვს, ასე ოცის წლის წინად, მეფე თეიმურაზმა, ჩემმა მეუღლემ გიჩვენა თავისი პატარა შვილი და გითხრა: ოთარ, სასძლო მიშოვე ამისათვისაო. ვინ იცის, შესაძლოა უმჯობესად მიგეჩნია გაიანე პატარა საქართველოს ტახტის მემკვიდრისათვის მიგეცა, ვიდრე დიდის ქვეყნების ბრძანებელის ჰარამხანაში?!

ოთარ-ბეგი (თვალთ-უბნელდება და თითქო ევედრება, შემიბრალეთ).—ჩვენ ყველანი მონები ვართ ალლაჰისა და მისნი აჩრდილნი ქვეყნადა.

ზეინაბი.—ჰეშმარიტად, თავისუფალი ქართველის პასუხია!

ოთარ-ბეგი. მცდი, ვგონებ, დედოფალო. მაგრამ, თუ ძვირფასია შენთვის ხსენება შენის მოკლულის შვილისა...

ზეინაბი (ცივად).—მერე, შენ ჩემზე უკეთესი რითი ხარ? ჩემი შვილი რათა წევს სამარეში, იმის მაგიერ, რომ ჰმეფობდეს საქართველოში, და შენი ქალი-კი დაფრიალობს თავისუფლად და ისუნთქავს სამშობლოს ჰაერს? მე მალე დავივიწყე შვილი და შენც მალე დაგავიწყდება შენი ქალი. შენთვის უფრო ადვილიც არის მათი გადავიწყება. შენი სახლი სავსეა ცოლებითა, ხასებითა და მხევლებით, ახლა ღვინო, ახლა ქეიფი, ახლა სახელი და დიდება, მერე მამა იქნები ფადიშაის ხასისა,—მეტი რაღა სახელი და დიდება უნდა მართლ-მორწმუნე ქართველსა? ახლა თუ შენმა ქალმა მოახერხა და ასიამოვნა ფადიშასა, გაუთბო გაცივებული სისხლი, ვიღა გაჰბედავს შეგეხოს? უმადური ხარ ბედისა და ჩემი, ოთარ-ბეგ! მალე ჩამოიყვანე შენი ქალი. შენ დაგვეხმარე და ქრისტეანე ერი დავამხეთ ფადიშას ფეხ-ქვეშა, ახლა დაგაჯილდოვებთ,—მისვე ფეხ-ქვეშ დავამხობთ შენს საყვარელს ქალსა. ჩემი შვილი კი სამარეშია და დავივიწყე. რამდენი მეომარი გყავს გორში?

ოთარ-ბეგი.—ხუთი ათასი ცხენოსანია.

ზეინაბი.—მათ შორის ბევრია ქართველი?

ოთარ ბეგი.—თითქმის ყველანი ქართველნი არიან, მხოლოდ უფროსებათ არაბნი და სპარსნი ჰყავთ რაზმებსა.

ზეინაბი. დარწმუნებული ხარ, რომ ერთგულნი არიან შენი?

ოთარ-ბეგი.—დარწმუნებული ვარ, დედოფალო. სხვა რა გზა აქვთ, სად წავლენ?

ზეინაბი.—იმერეთს?

ოთარ ბეგი.—იქ ახალციხის ფაშაა გაბატონებული. ოსმალნი რითი სჯობიან სპარსელებს?.. (გონს მოდის). ე. ი. ქართველთათვის, ქრისტეან მონათათვის... დაამხოს ისინი ალლაჰმა ფადიშას ფეხ ქვეშ წყეულ სუნნებთან ერთად.

ზეინაბი (ჰმალავს სიამოვნებას).—კარგად ვერ ახერხებ თავის-მოკატუნებას, გულადო ოთარ-ბეგ. მლიქვნელობ-კი საუცხოვოდ. ეგ მლიქვნელობა გშველის სწორედ. წადი და მშვიდობით იყავ, ოთარ-ბეგ, არ დაგივიწყებ. სვი, ეალერსე შენს ცოლებს და გვემსახურე, როგორც ერთგული ძაღლი. სხვა რაღა გინდა, ოთარ-ბეგ?

ოთარ-ბეგი.—გადღეგრძელოს, ხელმწიფეო (გადის).

IV

ზეინაბი (ისახარს).—ისახარ! ეს არის უშიშარი ოთარი?! ეს არის მარჯვენა ხელი მეფე თეიმურაზისა! ლომი საქართველოსი?!

ისახარ (ხმა მისი ყრუდ ისმის, თითქო ორმოდან ამოდისო. შეხედვა მისი ღრმაა და დაყურსული).—ვიდრე საომარი ცხენი აქლემივით დატვირთულია, არ შეუძლია ჭენება. მოაშორე ეგ სიმძიმე შერცხვენისა და სულ ვარსკლავებს დაუწყებს თამაშობას.

ზეინაბი. თვითონვე იძლევა ქალს უდრტვინველად, უბრძოლველად. თვითონვე კისრულობს ჩამოხსნას ზარები ძველ ტაძრებიდან, სადაც მოუნათლავთ, დაუქორწინებიათ. შეურაცხყოფილი, თავზედ ლაფს ვასხამდი და ის-კი დედამიწას ლოკავდა ჩემ ფეხ-ქვეშა, თითქო ფინია ძაღლიაო, ისე წკმუტუნებდა, კუდს იქნევდა, იკლაკნებოდა. ეგ ოთარია?! რა თანამოღვაწე და თანამოსაგრე უნდა იყოს იმისი? რა სანდო მისაყრდნობელი ბურჯია... გასცემს, გაჰყიდის, ისახარ, გაჰყიდის!

ისახარ (თავს აქნევს). არა, თუ იკისრა და წაჰყვა, არ გაჰყიდის.

ზეინაბი. ყოველივე დაითრგუნა, მოკვდა მაგაში, ლოთობისა, გარყვნილებისა და დიდების წყურვილის მეტი. მონობამ გადააჩვია სიყვარულს. ნუ თუ მთლად საქართველო ასეთი გახდა?

ისახარ. გაიგონე, დედოფალო? სოლეიმან-ხნმა ბრძანა, მეჩითი ააგეთ სეიდაბადშიო. ხალხი შემოეხვია, დახოცა კალატოზები და დამზადებული საშენებელი მასალა წყალში გადაყარა. სპარსელები გაეშურნენ ციხიდან, მაგრამ, სანამ ისინი მივიდოდნენ, ყველაფერი გათავდა და ხალხი გაიფანტ-გამოიფანტა. ახლა ეგ წყეულები დაძვრწიან ქალაქში—იჭერენ ბრალიანსა და უბრალოს და მიჰყავთ ყარა-იუსუფთან დასასჯელად. მდიდრები ქრთამს აძლევენ ამ ქოფაკს და თავსა შველიან, ღარიბებს-კი სჯიან, თუ მაჰმადიანობას არ მიიღებენ.

ზეინაბი (აცეცანათებულის თვალებით).—ვინ არის ეგ ხალხი?

ისახარ. გარშემო სოფლების გლეხ-კაცნი, მწყემსები, ხელოსანი სომხები, მებაღენი, ჰამქრის ხალხი—ვინ იცის? ხალხია, ერი!

ზეინაბი (გულ-დათუთქული). ისახარ, მეტი მოცდა აღარ შემიძლიან. აცნობე ანანიას, გორში მოიყვანოს ოთართან? უნდა ვნახო ჩემი იმედი, ჩემი სიცოცხლე ჩემი სისხლი და ხორცი! მხედარი ღვთისა! ხსნა საქართველოსი!

ისახარი. დროა! დროა!

ზეინაბი. ოცი წელიწადია! ოცი წელიწადი, ისახარ! რა ნაირ იკლავდა თავსა და ტიროდა, არ უნდოდა ანანიას მიჰკარებოდა იმ წყეულ ღამეს. მოვიგლიჯე მკერდიდან და ოცის წლის განმავლობაში ვერ ვბედავდი თვალი მომევლო, თვალით, გამეცადნა... ოჰ, ამ მხეცს რომ გაეგო მისა ამბავი... დროა! დროა, ისახარ! შეუთვალე ანანიას, წაიყვანოს ჩვენი შვილები ოთართან. მე იქ ვიქნები და, თუ ახოვან ოთარის გულში არ გამქრალა ყოველივე ადამიანობა, დაეცემა მის ფეხ-

---

*) იხ. „ივერია“, № 269.

ხასიათი უნდა ჰქონდეს ამ პროექტსაო. თურმე პროექტი საგუბერნიო რეფორმას-კი არ შეეხება არსებითად, რასაც დიდი ხანია, ველოდებით და რაც ყველასათვის დიდად სასურველია, მეტადრე რაც ძველის-ძველ, მამაპაპურ დროისდაწესებულებათა შეეხება, არამედ გუბერნატორების ისედაც ვრცელ უფლებათა გაფართოვებას, ვითომც მეტად შეზღუდულთ.

რასაკვირველია, გუბერნიის სამმართველოთა ეხლანდელი მდგომარეობა გვავალებს, რომ გუბერნატორების უფლებათა შესახებ ფრთხილად ვილაპარაკოთ. ბევრით ადრე, 60-იან წლებში, როდესაც საგლეხო რეფორმებზე იყო მსჯელობა, რიაზანის დეპუტატებმა შემდეგი აზრი წარმოსთქვეს სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის შესახებ: «გუბერნიას არა ჰყავს უმთავრესი მზრუნველი, რომელსაც ადმინისტრაციის მოქმედებას თვალ-ყური ადევნოს. გუბერნიის უფროსი, რომელსაც დავალებული აქვს მეთვალყურეობაც გაწიოს, თვით არის საგუბერნიო სამმართველოს წევრად და თვით იღებს მონაწილეობას ყველა საქმეთა გადაწყვეტილებაში. უცნაური მდგომარეობაა: მან უნდა ისაქმოს და თავის ნამოქმედარს თავითვე თვალყური ადევნოს. საუკეთესო და შეგნებულ კაცთა მოწვევა მოხელეებად მხოლოდ მაშინ შეიძლება, უკეთუ ზნეობრივად მაღლა დააყენებენ ამ მოხელეებს და ეს კი შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე მოხელე დამოუკიდებელი იქმნება მხოლოდ თავისუფალ სასამართლოს წინაშე პასუხის მგებელი და ამასთანავე საქმის წარმოება ცხადი არა საიდუმლოებით მოცული. მთლად საქმე იმაზედ არის დამოკიდებული, რომ ყოველივე დაუფარავად სწარმოებდეს, თავისუფალი სასამართლო დაწესდეს. მოხელენი პასუხის მგებელნი იყვნენ მის წინაშე, მტკიცედ განისაზღვროს უფლება მოხელეებისა, დაარსდეს საზოგადოებათა ეკონომიური თვით მართველობა».

ეს ცნობა, შარშან-დაარსებულ საგუბერნიო კომიტეტების მოხსენებიდგან ამოწერილი — ამბობს «პეტ. უწ“, — მეტად საყურადღებოა, რადგან ისტორიულადაც ირკვევა, როგორი რეფორმაა საჭირო. იმპერატრიცა ეკატერინეს განზრახულებითაც-კი გუბერნატორი მხოლოდ უმართებულეს სენატს უნდა დამორჩილებოდაო. დღეს-კი გუბერნიის უფროსი ერთს სამინისტროს «ტიპიურს ჩინოვნიკს“ წარმოადგენს, მხოლოდ ამ სამინისტროს უფროსი წარმომადგენელია გუბერნიაშიო.

განა გუბერნატორის უფლება ისე როგორ უნდა, გაფართოვდეს, რომ ყოველი დაწესებულება გუბერნიაში იმას ემორჩილებოდეს, და ეს იმას არ მოასწავებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, მორჩილ გუბერნატორთა სახით, იმპერიის ყოველ დაწესებულებათა მბრძანებლად გადიქცევაო?

მართალია, პროექტი ჯერ-ჯერობით ეხება საფინანსო დაწესებულებას (სახარჯო, საგლეხო ბანკი), საერობო, საქალაქო და სხვა საზოგადო დაწესებულებათა, ჟანდარმთა სამმართველოს, სახაზინო მამულებს და საერო განათლებას; ხოლო ვინ დაგვარწმუნებს რომ მალე ამ სიაში არ მოჰყვება გზათა უწყება, სასამართლო და სახელმწიფო კონტროლიო?

გუბერნატორის უფლების ამგვარ გაფართოვების საბუთებს ჩვენ ვერ ვპოვებთ პროექტშიო. მაგალითად, გუბერნატორს ნება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს პირადად, ანუ თავის მოხელეების სახით, საშუალო სასწავლებელთა მსვლელობაში, საგლეხო ბანკში, გარდასახადთა ინსპექტორების კრებაზე და სხვ. ხოლო რა უნდა აკეთოს და რა მოვალეობა უნდა სწიოს, — პროექტი არას ამბობს. სწორედ ენციკლოპედიური განათლება და განვითარება უნდა ჰქონდეს გუბერნატორს, რომ ნაყოფიერი იყოს მისი მონაწილეობა მრავალგვარ დაწესებულებაში, საცა სპეციალური ცოდნაა საჭირო.

ერთად-ერთი შემზღუდველი გუბერნატორის უფლებისა პროექტით საგუბერნიო რჩევა იქმნება და ისიც მოხელეთაგან შემდგარიო. ამ რჩევის დაარსება ბევრად შეაკვეცს ფრთებს საერობო და საქალაქო სამმართველოებს, რადგან იმათ თავისი მინისტრი არა ჰყავთ და საბჭოს ვერავინ განუმარტავს მათ მოთხოვნილება-საჭიროებას. ეხლა საჩივარი მაინც შეუძლიათ მიართვან სენატს და მაშინ კი უფლებაც აღარ ექმნებათო.

უცხოეთი

იაპონია. ინგლისელები და ინგლისის მწერლობა ძალიან აქეზებენ და ამედებენ იაპონიას, არა დაუთმოს რუსეთსაო. გაზეთი „Morning Post“-ი მოწინავე წერილში ამბობს:

იაპონია ვერ დასთანხმდება, რომ რუსეთმა თანდათან დაიპყროს კორეა. ამისთანა წინმსვლელობა რუსეთისა ისეთს ომს გამოიწვევს, რომელიც რუსეთს აიძულებს არამც თუ მანჯურიის ინტერესი, არამედ სხვაც ბევრი რამ საფრთხო მდგომარეობაში ჩააყენოსო. იაპონიის არსებობა მოითხოვს, რომ რუსეთი არ გააბატონოს კორეაშიო.

მთლად კაცობრიობამ იცის, რომ ინგლისი იაპონიის მომხრეა. შეუძლებელია, რომ ინგლისის მართებლობამ და ხალხმა შორიდგან სეირს უყურონ იაპონია დამარცხდება თუ არაო. იაპონიის დამარცხება ინგლისის დამარცხება იქმნება და მის ვაჭრობის დაცემა აზიის აღმოსავლეთში. ეს კიდევ ცოტაა. ეს ინგლისის სახელის შერცხვენაა დედამიწის ზურგზედ. იქმნება, რუსეთს მომხრეების იმედი აქვს? მაშ სად არიან? არც ერთი ისეთი სახელმწიფო არ არის, რომელმაც გაბედოს ამხედრება ბრიტანიის ფლოტის წინააღმდეგ-

თუ ინგლისის მართებლობა დარწმუნებული არ არის, რომ უიაპონოდაც შეუძლიან დაამარცხოს რუსეთის ფლოტი და მის მომხრე სახელმწიფოს ფლოტიც, მაშინ ეს მართებლობა ნდობის ღირსი არ არის და ატყუილებს თავის ხალხსაო.

ესე მკვახედ მსჯელობენ ინგლისელები და სცდილობენ ომში ჩააბან იაპონია.

გერმანიის მწერლობასა ჰგონია, რომ იაპონიას სრულიად არ უნდა ეშინოდეს რუსეთისა. ეს ყველასათვის ცხადიაო. ხოლო თუ ინგლისიც ჩაერია, მაშინ-კი ომი სულ სხვა სახეს მიიღებს. რუსეთს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ დააკლებს რასმე ინდოეთს, რადგან იქ ინგლისს მხოლოდ მოგერება დასჭირდება და არც გაუჭირდება. იქ შეუძლიან მთელი მილიონი ჯარის კაცი შეიარაღოს და მთავარსარდლობა თვით კიტჩენერს მიანდოს. ბალტიისა და შავს ზღვებზედ-კი ინგლისი დიდს ოინებს ჩაიდენს. კარგი იქნებოდა, გერმანიასა და ავსტრიას ოსმალეთი მაინც შეეკავებინათ, რომ ომში არ ჩაერიოს. ხოლო ოსმალეთისაგან თავდაჭერა საფიქრებელი არ არის. ის ისეთს წამს ეძებს, რომ სლავიანთა მძლავრ ხელიდგან თავი გაინთავისუფლოს, თორემ მისი დღენი დათვლილია. ამერიკის მხრივ რუსეთს „საჭირო შეტაკება“ მოელისო. ამ რიგად რუსეთს მხოლოდ იაპონიასთან-კი არ დასჭირდება ომი, არამედ სამ-ოთხს სახელმწიფოსთანაო.

კორეა. ზღვის პირს, სადაც-კი შესაძლოა გემი მიუდგეს, ყველგან ახალ კანდელებს აშენებენ. ჩემულპოს ნავთ-სადგურში ოთხი კანდელი უკვე განათებულია. იმათ აშენებას იაპონიამ 1,000,000 იენი მოანდომა. ძალიან სწრაფად აშენებენ კიდევ 40 კანდელს. ეს საქმე მინდობილი აქვს ინგლისელს მაკ-ლივი ბრაუნს, კორეის საბაჟოების დირექტორს. მას თანაშემწეებადა ჰყავს ერთი ინგლისელი და ერთიც იაპონელი ინჟენერი.

ავღანისტანი. ინგლისის ვიცე-კოროლს ინდოეთში ლორდ კერზონს და ავღანისტანის მფლობელს ემირს ხაბიბულა-ხანს რაღაც საიდუმლო მოლაპარაკება აქვთ. ლორდი კერზონი ვითომც იწვევს ემირს ინდოეთში მოსალაპარაკებლად. ემირი როგორღაც ზარობს, მაგრამ უარიც ვერ შეუთვლია. ავღანისტანი ძვირად უჯდება ინგლისს. ყოველ წელს ემირი სუბსიდიას იღებს ინგლისისაგან 50,000,000 ფრანკს. ნაწილი ამ ფულისა ავღანისტანის გამაგრებასა და ჯარის გაძლიერებაზე იხარჯება. ხოლო ვის გამოადგება ბოლოს ავღანისტანის ძლიერება ეს ყველასათვის გამოცანაა. ინგლისს ცოტა ეჭვი შეეპარა და უნდა ნამდვილი რამ გაიგოს თვით ემირის პირით. ეს უნდა იყოს მიზეზი ინდოეთში მიწვევისა. ინგლისი ამ ხანად მხოლოდ იმას ავალებს ემირს, რომ წარმომადგენელი და მეთვალყურე იყოლიოს ქაბულში, ავღანისტანის დედაქალაქში. ეს ემირს არა სურს და იმას იმიზეზებს, რომ მეორე მეზობელიც მოითხოვს თვისი წარმომადგენელი იყოლიოს და შემდეგ შესაძლოა, სხვებმაც წაჰბაძონო. ეხლა ინგლისს გადაუწყვეტია თურმე ან აასრულებინოს ემირს ყოველი მოთხოვნილება და მის მომხრეობით გული დაიმშვიდოს ან არა და სუბსიდია მოუსპოს.

თეატრი და ხელოვნება

სამშაბათს, 16 დეკემბერს არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა არტისტიულ-საზოგადოების თეატრი, არა ჩვეულებრივს იმიტომ, რომ იქ ქართული წარმოდგენა იყო გამართული, დარბაზი-კი ხალხით გატენილი იყო. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა ამ საღამოს წარმოადგინა «ედმონდკინი» ა. დიუმასი და ვოდ. «საუბედურო დებიუტი». ედ. მესხიევი (კინი) ჩვეულებრივად. კარგი იყო ამ როლში. მეტადრე მესამე მოქმედებაში მასხიობის თამაშს შეპყრობილი ჰყავდა მაყურებლის სული და გული.

დანარჩენთ, ნ. ჩხეიძის გარდა, მოუმზადებლობა, როლების უცოდინარობა ეტყობოდათ. გედევანოვი კარგი იყო სოლომანის როლში. ტ. აბაშიძე პისტოლ-აკრობატისაში.

ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა. კარგები იყვნენ როგორც ყოველთვის ამ ვოდევილში, ტ. აბაშიძე (დიდია) და იმედაშვილი (ვალოდია).

წერილები

რედაქციის მიმართ

მცირე შენიშვნა.

ამ დღეებში «ივერიის» № 261-ში ვიღაც ბატონმა, რომლის არც სახელი ვიცით და არც ფსევდონიმი, დიდის რიხით გამოალაშქრა ევროპაში ნასწავლ ქართველ ახალგაზრდათა წინააღმდეგ და დასწამა მათ ქართული ენის გარყვნა უცხო სიტყვებით.—დღეს ჩვენს მწერლობაში ერთი შესანიშნავი ნაკლია შეპარული, რომელიც დეკადენტურ «მოდათ» შექმნილა და ორნაირი მავნებლობა მოაქვს: 1 ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას ბაზარს უკრავს და 2, ენასაც თავისს ხასიათს უფუჭებსო, ბრძანებს ავტორი.

მერე ვინ ყოფილან სამშობლო ენის გამრყვნელნი, ჟურნალ-გაზეთების მტერნი და ქვეყნის მტერნი? ვინა და «ახალგაზრდა მწერლები, რომლებსაც ევროპიული განათლება მიუღიათო», გვეკარნახებს იგივე ავტორი. ნეტა რაში ისახება ეს ნაკლი?—«ეს ნაკლი გახლავთ უადგილო ალაგას ხშირად ხმარება უცხო სიტყვებისა, რომლების მაგივრადაც შეგვეძლო ხმარება ჩვენის საკუთარის სიტყვებისა და მით არ დაგვემახინჯებინა მწერლობა, იმისი თვისება და მდაბიო ხალხისთვისაც მიგვეცა იმდენი ღონისძიება, რომ გასაგებ ენაზედ წაეკითხა ყოველი ქართული ნაწარმოებიო», აგვირგვინებს ამ სიტყვებით თავის ბრალდებას იგივე ავტორი.

სიმართლე მოგახსენოთ, სანამ წერილის ამ ადგილამდე ჩავიდოდი, გული გამისკდა; მეგონა რადგან საშინელი დანაშაული ჩაუდენიათ ევროპაში ნასწავლებს-თქო, რადგან ავტორი ციცერონისებურ გატაცებით შეებრძოლა მათ. თურმე ეს დიდი ცოდვა ყოფილა უცხო სიტყვების ხმარებაში. მაგრამ ტურგენიევიც ხომ დევნიდა რუსულში ამგვარ ნაკლის შეპარვასაო! გაიძახის იგივე ავტორი. ახლა-კი საბედნიეროდ ჩვენდა, მკითხველო, საქართველოსაც გამოჩენია თავისი ტურგენიევი, რომელიც დევნის ენიდან ამ ნაკლს, და ეს გახლავთ ზერე თქმული უცნობი ავტორი. მოგეხსენებათ, რომ მრავალ დიდებულ გვამთა თვისება სხვათა შორის სიწყნარეა, და სწორედ ამ სათნოებით ყოფილა დაჯილდოვებული ჩვენი ახალი ავტორი, რომელმაც არამც თუ არ გაგვაცნო თავი, არამედ ფსევდონიმიც-კი არ გვითხრა. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი რამ დავიწყებია მას:

საანბანო ჭეშმარიტებათაა ცნობილი, რომ როცა ვისმეს რამე ბრალს სდებ, იქვე საბუთებიც უნდა წარადგინო, უამისოდ-კი ბრალდება კარგავს თავის ძალას ჭეშმარიტებას მხარი აუქცია ახლად მოვლენილმა ქართველმა ტურგენიევმა და არ სცნო საჭიროდ თავის სასტიკის ბრალდების დამტკიცება, გ. ი. არ აგვიხსნა, რა სიტყვები იხმარეს ევროპაში ნასწავლებმა, რომ ასე რიგად გარყვნეს და დაამახინჯეს ქართული ენა.—ენა ადამიანის სულის სარკეა და ზნეობრივი ორგანო; ენა წმიდათა-წმიდაა მთელი ერისა! და როცა ვინმე რყვნის და ამახინჯებს მას, იგი ხდება ჯალათად და ქვეყნის მოღალატეთ!.. აი რა საშინელ ბრალს სდებს წერილის ავტორი ევროპაში განათლებულ ქართველ ახალგაზრდათ! ესმის-კი ეს მკაცრი ბრალდება ამ ბატონს?! აგებს-კი პასუხს თუ ვერ დაამტკიცა იგი?! ნუ თუ უცხო სიტყვების ხმარება ენის გარყვნა და დამახინჯებაა?! თუ ეს აგრეა, მაშინ ჩვენთან ერთად ბრალდებულთა სკამზედ უნდა დასხდნენ რუსეთის და თვით ევროპის პირველ ხარისხოვანი მწერლები, ვინაიდან ისინი ჩვენზედ უფრო მეტს ხმარობდენ და ხმარობენ უცხო სიტყვებს თავიანთ მწერლობაში.

ენა არაა ერთ წერტილზედ გაჩერებუ-

ქვეშ, მკვდრეთით აღსდგება სული მებრძოლისა ღვთისათვის, სამშობლოსათვის, ახალგაზდა მეფისათვის!

ისახარ. ნელა! ჩუმად! რაც უფრო მოახლოვებულია დრო გრგვინვა-ქუხილისა, მით უფრო დიდია მყუდროება. რაც უფრო ახლოა ჟამი, მით ნაკლებ უნდა ლაპარაკი. (მაღლა აიხედავს). მთვარეს კაშკაში გააქვს. მეტეხიდან ღრუბელი მოდის. ქარიც ჩადგა. ჰხედავ, რა მყუდროებაა! ამაღამ ელვა-ქუხილი ასტყდება.

ზეინაბი. ჩქარა მაინც დადგეს ეგ ღამე. მრისხანე, საშინელი ღამე ღვთის რისხვის ელვა ჰექითა. (კარი გაიღება, კარებში გამოჩნდება სოლეიმან-ხანი, ისახარი გვდავ სცენის სიღრმეში მიდის. ზეინაბი სდგას მთვარის ნათლით გაშუქებული).

V

სოლეიმან-ხანი. შენა ხარ, ზეინაბ?

ზეინაბი. მე ვარ, მბრძანებელო ჩემო.

სოლეიმან-ხანი. ჰაერი მძიმეა ტყვიასავით. ოთარ-ბეგი წავიდა?

ზეინაბი. წავიდა, მეფევ-ბატონო!

სოლეიმან-ხანი. წამოწვება ტახტზედ. ზეინაბი სდგას მის წინ. სცენის სიღრმეში ისახარი სდგას). ზეინაბ, მე აღარა მჯერა რა იმისი. ალრაზაკს ვუბრძანე ცხენები მზად იყოლიოს და ამალა გაგიმზადოს. ოთარ-ბეგს გაჰყვები კვალ და კვალ! ასი თვალი გამოიბი, ასი ყური გამოისხი. ყოველივე გაიგე, ყოველივე იწვრილე! (ჩაფიქრდება).

ზეინაბი (სოლეიმანის ფეხ ქვეშ წამოწვება). ყველაფერს შევიტყობ, მეფევ! მე და ვერ შევიტყო? განა ჩემი გული ადრევე არ მეტყვის, ვიდრე ყური მოისმენს და თვალი დაინახავს?

სოლეიმან-ხანი. ღამ-ღამობით ჩემ სარეცელს გარშემო რაღაც ხმები მიმოჰქრის. ვარსკვლავებს რომ შევცქერი, თითქო ბინდი ეკვრით, იჩრდილებიანო.

ზეინაბი (ყურადღებით უსმენს). ბინდი ეკვრით? მე-კი ისე მგონია, თითქო უფრო მოჰმატებიათ ნათელი, ღაღადი გააქვთო. შენს სულს ჩემს გულში ვატარებ, სრულებით არ ვიშიშვი შენთვის.

სოლეიმან ხანი. გაჰყე უკან ოთარ-ბეგს. მოჰკრა თუ არა ყური, რომ რაიმე ერთობა და მიწერ-მოწერა აქვს ან იაღლუჯის მეამბოხეებთან, ან იმერეთის მეფესთან, ახალციხესთან და ერევნის ხანთან, მაშინვე უბრძანე, შენ თვალწინვე დაჰკლან და მისი თავი აქ გამომიგზავნე.

ზეინაბი (ძლივს აზერხებს დაჰმალოს სიხარული).—ჩემი ბედნიერება ის არის მხოლოდ, რომ შენ გემსახურო, მეუფეო ჩემის სულისა! ჩემი ჯილდოა მხოლოდ შენი ალერსიანი შემოხედვა, შენი ღიმილი, შენი მოსვენება!

სოლეიმან-ხანი. ვინც დედაკაცს ენდობა, თვითონვე სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ჰზის. მაგრამ შენ-კი გენდობი, იმიტომ... რომ თუ მე დავიღუპები, დაიღუპები შენც.

ზეინაბი.—რამ უნდა მაცოცხლოს უშენოდ, ჩემო თვალის სინათლევ?

სოლეიმან-ხანი.—შენი ეშხი და სილამაზე ახლა—შვენებაა შემოდგომისა, ვეღარ გიშველის, ვერ დაგიფარავს... გურჯისტანს ეჯავრები და იმიტომ გენდობი მე.

ზეინაბი. იმიტომ-კი არ გიფრთხილდები, რომ ჩემის თავის ფიქრი მაქვს. როცა ტფილისს მოადექი სოღანლუღის ბრძოლის შემდეგ, შემეძლო იმერეთს გაქცეულიყავ, სამეგრელოს, გურიას. თვით მოსკოვის მეფემ აღმითქვა მაშინ შემწეობა. მაგრამ ჩემი გული სავსე იყო შენის ქება-დიდების ხმებით, თვალ-წინ მედგა შენი სახე, მეძინა თუ მეღვიძა, ცხადლივ თუ სიზმრად და შენის რაშის წინაშე მუხლმოდრეკილმა, დაჩოქილმა მოვართვი ციხის გასაღები. შარავანდედი მეუფებისა და სიკვდილისა ამკობდა შენს შუბლს. როცა ჩემკენ გადმოიხარე, ასე მეგონა, ელვამ დამიარა გულში მეთქი. შენს წინაშე ლომია უდაბნოსიო—ჩამომძახოდა იდუმალი ხმა ყურებში. ყოველივე დაიმონა მაგან და შენი გული როგორ გაუმაგრდება მაგის შეხედვასო. და მეც ავიღე და მოგეც შენ ჩემი სარწმუნოება, ზრახვანი ჩემის გულისა, ჩემი სიცოცხლე, სული და ხორცი. გდარაჯობდი ღამ-ღამობით, შენს სასთუმალთან თავ-დახრილი, ვსცდილობდი მიმემართნა რისხვა შენი, აღმხოცველი მარჯვენა შენი იმათზე, ვინც ოდესმე მზრდიდა მე, მესათუთებოდა, მუხლს მიყრიდა, მაღმერთებდა. მე, ასული და მეუღლე მეფისა, ისე გემსახურებოდი, როგორც მონა და მხევალი, ხოლო შენ მიცნობ, რომ მე სიკვდილისა არ მეშინიან და ქედ-მაღლობის გოროზი სისხლი სჩქეფს ჩემს ძარღვებში. შენც მიხვდი ამას და, როცა მწვავე გულის-თქმის გრძნობამ გაგიარა, ნება დამრთე შენს ბჭობაში მეც მონაწილე ვყოფილიყავ, გამეზიარებინა შენი სამეფო ტახტი და ზედ ვმჯდარიყავ შენს გვერდით. მერე რად მინდა მე მთავრობა, ხელმწიფობა? (ეჭვიანობით აღგზნებული) ყოველსავე გავწირავდი, რომ წინანდელებრ მმალავდე ხალხის თვალთაგან, მაწამებდე ეჭვიანობით, შენის ხოჯა-საჭურისების მორჩილებაში მამყოფებდე. ან იქნება აღარა ვშვენი? ვეღარ მოგანიჭებ იმ ნეტარება-სიტკბოებას, რომელსაც განიჭებენ შენი მხევალნი?! (მორჩილებით). მაგრამ შენ ასე გინდოდა და მეც დაგემორჩილე. მე თვითონ ვარჩევდი შენის გულის თქმის დამატკბობელთ. გარს შემოგახვიე სამოთხის სიტურფის მზგავსნი, ქვეყნიურნი ანგელოზნი. ოღონდ-კი შენ მოსვენებით ყოფილიყავ, დამტკბარიყავ და მე... მე... ოჰ, თითოეული ღამე შენის დატკბობისა სიკვდილი იყო ჩემთვის! სიკვდილი!! თქვენ, მამაკაცებს, მხოლოდ ხორცის დატკბობის სურვილი გიზიდავთ და განა იცით, რა არის სიყვარული?

სოლეიმან-ხანი. ჯერ კიდევ კარგი ხარ, როცა ჯავრობ.

ზეინაბი. არა, კარგი ვარ, იმიტომ რომ მიყვარხარ, იმიტომ რომ მინდა გემსახურო, მინდა შენ ფეხ-ქვეშ ვხოხავდე და ვფლობდე შენს სულს! (მიეფერება).

სოლეიმან-ხანი. გუშინდელი ზღაპრები მხევლისა მომეწონა. შემომიგზავნე აქა.

ზეინაბი. სამეგრელოს მთავრის ნაჩუქარი რუქაია?

სოლეიმან-ხანი. არ მახსოვს იმათი სახელები. თან მოიტანე სანთურიც. გრილმა სიომ დაჰბერა. იქნება იმისმა ზღაპრებმა და შენმა ნაზმა დაკვრამ ძილი მომგვაროს. დიდი ხანია, ძილი აღარ მეკარება.

ზეინაბი (უკოცნის ხელებს). მივდივარ, ჩემო მეფე-ბატონო. (მიდის, ისახარიც თან მისდევს. პირის-პირ კარებიდან შემოდის ყარა-იუსუფი).

VI

ყარა-იუსუფი. ხელმწიფეო, კათალიკოსმა გზირის ხელით დაუგზავნა ბრძანება ყველა მღვდლებსა და ბერებსა, რომ ზარები აღარა ჰრეკონ ეკკლესიებისა.

სოლეიმან-ხანი. დარაჯნი თავ თავის ალაგასა სდგანან?

ყარა-იუსუფი. თავ-თავის ალაგასა სდგანან, მეფეო.

სოლეიმან-ხანი. ცხენოსანთა რაზმნი დაგზავნილნი არიან ქალაქის შემოსავლელად?

ყარა-იუსუფი. დაგზავნილნი გახლავან. ალაყაფის კარი დაკეტილია, ზარბაზნებიც დამიზნებული აქვს გარშემო გორებსა და ქალაქს.

სოლეიმან-ხანი. კიდევ ბევრი შეიპყრეს მეჩითის დანმგრეველთა შორის?

ყარა-იუსუფი. ოცდა შვიდი კაცი წიბოებით ჩამოვკიდე და ისე ჩამოვახრჩე ციხის კედლებზე ალლაჰის სადიდებლად. ორმოც და ათს თავი მოვჰკვეთე და მათნი გვამნი სანაგვეზედ გადავაყრევინე. ოცდა თექვსმეტი ეს არის ეხლა მოიყვანეს.

სოლეიმან-ხანი. დასაჯე დილით მეიდანზედ და გამოუცხადე ხალხს ჩემი ბრძანება, რომ თითოეულმა მცხოვრებელმა ზურგით მოიტანოს თითო თლილი ქვა წყრთა-ნახევარის სიგრძისა, სიგანისა და სიმაღლისა და იქ დაალაგონ, საცა მეჩეთი დაანგრიეს. შვიდის დღის ვადა მიეცი.

ყარა-იუსუფი. დიდება ყოვლად სამართლიანსა!

სოლეიმან-ხანი. ოთარ-ბეგი გავიდა ქალაქიდან?

ყარა-იუსუფი. ეს-ეს არის გავიდა და ალაყაფის კარებიც დაიკეტა.

სოლეიმან-ხანი. დედოფალსა ვგზავნი სამს დღეს უკან მის საზვერავად. იუსუფ! ჰაერში ღალატის სუნი სდგას. (ყარა-იუსუფს შეაჭყიტებს და ფერი ეცვლება). ალ-რაზაკი გაჰყვება თან.

ყარა-იუსუფი. ალ-რაზაკი ერთგულია, მაგრამ ტუტუცია. დედოფალი ჰკვიანია, ღმერთმა დიდი დღე მისცეს.

სოლეიმან-ხანი. რა გინდა სთქვა?

ყარა-იუსუფი. ყველაფერს მიხვდება, რაც ოთარ-ბეგს გულში აქვს და ან რაც მის გარშემო ამბავია.

სოლეიმან-ხანი. მერე?

ყარა-იუსუფი (მოიკაკვება). თვალო ოტარიდისა *), მაგისთანა საქმისათვის თქვენს ადგილას გავგზავნიდი საყვარელს ცოლს, მაგრამ მის დასახმარებლად ერთ-ერთ იმათგანსაც გავაყოლებდი, რომელიც სცდილობს, საყვარელი შეიქმნას. ოქროს სიწმინდეს შინჯვენ ქვით, დედაკაცის ერთგულებას—დედაკაცის შემწეობით, წყაროო სიბრძნისაო.

---

*) ოტარიდი, მერკური, რომაელთა ღმერთი ვაჭრობისა, აგრეთვე შიკრიკი ღმერთებისა.
მთარგ.

ლი და გაუნული რამ. იგი იმგვარათვე იცვლება, რთულდება, ან მარტივდება და ვითარდება, როგორც ყოველი რამ ქვეყანაზედ. ვითარდება ერი თუ ადამიანი, ვითარდება მათი სულიერი თვისებანი, მაგ., აზროვნება, სურვილი და გრძნობანი, ამ რიგათვე ვითარდება მათი ორგანო ენა. რაშია ენის განვითარება? უმთავრესათ ლექსიურ სიმდიდრეში, ე. ი. სიტყვათა სიმრავლეში, სიტყვათა კეთილ ხმოვანებაში და გრამატიულ ფორმათა სიმსახრე—სიმარტივეში. ამიტომ ხშირათ რამდენათ კულტურულია ერი, იმდენათ მისი ენა მდიდარია სიტყვებით და შვენიერია ფორმით. რა რიგათ მდიდრდება რომელიმე ენის ლექსიკონი? იგი მდიდრდება უმთავრესათ, ნეოლოგიზმებით, ე. ი. ახალი სიტყვებით, რომელთაც ქმნიან თვით ხალხი, საზოგადოება და მწერლები და 2) უცხო განვითარებული ენათაგან გადმოღებული ან ისე განახლებული სიტყვებით. ევროპიელ ენებს ფუძეთ დაედო დიდათ განვითარებული ელლინ-ლათინთა ენა; ინგლისურ ენის თითქმის ორი მესამედი სიტყვები ფრანგულ-გერმანულიდანაა გადმოღებული; რუსული ენა ხომ ამ მხრივ ნამდვილ ღომხალს გვაგონებს· რა ერის სიტყვები არ გსურს, შიგ არ იპოვო! ბერძნული, ფრანგული, ლათინური, ნემეცური, ინგლისური, შვედური, თათრული, სპარსული და სხვა ათასი რამ არეულია ერთმანეთში; მაგრამ განა ეს გარყვნაა ენისა?! რომელი ენაა დღეს ყველაზედ უფრო განვითარებული მდიდარი და კულტურული?! ესენია ევროპიელი ენები და რუსული. ნეტა რომელი კულტურული ენა და მწერლობაა მხოლოდ ხალხურ ენაზედ დამყარებული და მით განვითარებული?. არც ერთი. ნეტა არის რაიმე [illegible] მგზავსება ფრანციელ ხალხის არგოპატუასა (ხალხური ენაა) და ფრანგულ სასალონო—სალიტერატურო ენას შორის, ან რუსის მუჟიკის ენისა და თანამედროვე სალიტერატურო რუსულს შორის? ან რა იქნებოდა ნეტა დღეს რუსული ენა—მწერლობა, რომ მარტო ხალხურ ენას დამყარებოდენ? თქვენ გკითხავთ, ბ-ნო ქართველო ტურგენიევო? რათ არ მიეცით თქვენს თავს ეს კითხვა, როცა სწერდით ისე რიხით თქვენს უსაფუძვლო იერემიადას?! უცხო სიტყვები ხალხს არ ესმისო, ბრძანებთ ბ-ნო; მართალია: ბევრი რამ არ ესმის ხალხსა და საზოგადოებას, მაგრამ ქე სწავლობენ, დალოცვილო! რომ ასე ვიფიქროთ, უარი უნდა ვყოთ ყოველგვარ სწავლა-განათლებას. ხალხის შვილები დადიან სკოლაში, იქ ოსტატი უხსნის მათ უცხოს გაუგებარ სიტყვებს, თვით ხალხი იგებს მათ ან თვით შორის ან კითხვენ ვინმე ნასწავლ კაცს ან აზრით ხვდებიან და ამ რიგათ ვითარდება მათი ლექსიკონი და შემეცნება. ასე გახლდათ ევროპის ქვეყნებში, ასე გახლდათ რუსეთში და ასე უნდა იყოს ჩვენშიაც, ვინაიდან კანონი ყოველი ერის, ხალხის და ენის განვითარებისა ყველგან ერთია.

დიად, ჩვენი ენა ირყვნება და სახიჩრდება, მაგრამ ეს ხდება უცხო, ევროპიული სიტყვების და ევროპაში ნასწავლთა მეოხებით კი არა, არამედ სულ სხვა მიზეზით, რაზედაც არ მსურს აქ შევჩერდე და რაც კარგად უნდა იცოდეს ყველა შეგნებულმა პირმა.

და ბოლოს ნება მიბოძეთ ვკითხოთ, ბ-ნო ქართველო ტურგენიევო: ნუ თუ მარტო ევროპაში განათლებულთა სჭირთ ჩვენს მწერლობაში უცხო სიტყვების ხმარება?! ნუ თუ რუსები ნასწავლებიც არ მისდევენ ამ „ნაკლს“?! არა მგონია. თუ არ გჯერათ, აიღეთ ქართული მწერლობა, ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მესამოცე წლებიდან და უფრო ადრეც და დარწმუნდებით ამაში. ან როცა ეძგერეთ ევროპაში ნასწავლთ, ნეტა რა გსურდათ ამით?! ართალია, ევროპაში განათლებულ ქართველ მწერალთ ერთი ზნე-სჭირთ,—ესაა მხურვალე მეცადინი, რომ რაც შეიძლება კარგად შეისწავლონ სამშობლო ენა და გულმოდგინედ ცდილობდნენ და ცდილობენ მის განვითარებას ლექსიურათ, ისე ფორმებით და კეთილ-ხმოვანებით. ამის მაგალითს წარმოგვიდგენენ თ. ვანო მაჩაბელი, ნ. ნიკოლაძე, ი. მეუნარგია, პ. მირიანაშვილი, ნ. ჟორდანია, თ. სახოკია, ვახტანგ დემბაშიძე, დ. კარიჭაშვილი, პეტრე თამარაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვანი *).

თქვენ, ბ-ნო ქართველო ტურგენიევო, დასდეთ ევროპაში განათლებულთ საშინელი ბრალი; თქვენ დასწამეთ მათ ენის გარყვნა და დამახინჯება; თქვენ ჩათვალეთ ისინი სამშობლოს მოღალატედ, მაგრამ ამის საბუთებიკი არ წარმოადგინეთ.

ს. ქვარიანი.

---

*) თვით არჩილ ჯორჯაძემ სად შეიყვარა და შეისწავლა ქართული ენა თუ არა ევროპაში?! მან ისე მოიარა რუსეთი და დაჰყო იქ უნივერსიტეტში, რომ ქართული არ იცოდა. ამისთანა მაგალითებს კიდევ ბევრს მოვიყვანთ, რომ საჭირო იყოს. აქედან ისა სჩანს, რომ ევროპა სამშობლოს მტრებს-კი არ გვიბრუნებს, არამედ, მოყვარეებს და ეს პირნი ჩვენს ენას-კი არ რყვნიან არამედ ანვითარებენ და აფაქიზებენ.

ავტორი.

„ივერიის“ ფოსტა.

ბ. ნ. ჩ—ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. აბა, დაპირებისამებრ სხვა რამე გამოგზავნეთ.

დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი.

სევასტოპოლი. ელინთა დედოფალი გემით «ამფიტრიდა» წაბძანდა საბერძნეთს.

რიგა. გამოვიდა პირველი ნომერი ყოველ დღიურ გაზეთის «რიგის ვედომოსტები»-სა.

სიმბირსკი. აკურთხეს სათავად-აზნაურო პანსიონი—თავშესაფარი, გამართული სამოცის კაცისათვის.

რომი. მეფემ მიიღო ელჩი თავადი ურუსოვი, რომელმაც რწმუნების ქაღალდები ჩააბარა.

სტამბოლი. საიდუმლოდ გადასწყდა, უმთავრესს უფროსს მაკედონიის ჟანდარმერიისას სამი თანაშემწე ეყოლოს; ერთი მათგანი იქმნება რუსი, ერთი ავსტრიელი და ერთიც ინგლისელი, პოლკოვნიკის ჩინით.

რიაზანი. საგუბერნიო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა დამთავრებულნი განთავისუფლებულ იქმნენ გადასახადისაგან,

ლონდონი. «მორნინგ პოსტი» უარჰყოფს ხმას, ვითომ იაპონიას რუსეთისათვის დაენიშნოს ვადა პასუხისა იაპონიის უკანასკნელ ნოტაზე.

ტოკიო. საიდუმლო საბჭომ მოიწონა მთავრობის გარდაწყვეტილება, დაუჩქარონ სეულ—ფუსანის რკინის გზის გაყვანას. ამასთანავე სახეში აქვთ სამხედრო ხარჯები, რომელიც საჭირო იქნება როგორც გზისა, აგრეთვე იაპონელთა სხვა ინტერესების დასაცველად.

რომი. მთავარ უფროსად მაკედონიის ჟანდარმერიისა დანიშნულ იქმნება გენერალი სისმონდო.

პეკინი. ლიენფანგმა ინახულა რუსეთის ელჩი ლესარი და სთხოვა, გააგებინოს რუსეთის განძრახვანი მანჯურიიდამ ჯარების გამოყვანის შესახებ. ლესარმა უპასუხა, ამ ჟამად ორის მიზეზის გამო არაფრის გაკეთება არ შეიძლება. პირველად, სიცივეებისა გამო ჯარის გამოყვანა შეუძლებელია, რადგანაც უბინაობისა გამო სხვა ადგილს ვერ დააყენებენ, და მეორედ, ჯარების გამოყვანა ავნებდა რუსეთის ინტერესებსა, რადგანაც ეხლა, როდესაც ჯერედ იაპონიასთან მოლაპარაკება არ გათავებულა, იაპონია შეიძლება შეესიოს მანჯურიასა. ჩინეთის მთავრობა ისე შეწუხებულია, რომ უმჯობესად სცნობს მანჯურია ისევ რუსეთის კონტროლის ქვეშ იყოს. ჩინეთის სამინისტრომ გამოუცხადა გარეშე სახელმწიფოთა ელჩებს, ჩინეთისათვის უმჯობესი იქნება, უკეთუ რუსეთი და იაპონია იქნებიან იმ მდგომარეობაში, რაც დღეს უჭირავთ კორეასა და მანჯურიაში, და აღარ ეცდებიან რაიმე სხვა უპირატესობის მოპოვებას.—რუსეთის უფროსმა მუკდენში უბძანა თათრის გენერალს დაათხოვოს მილიცია და იარაღი აჰყაროს.—გენერალმა მოახდინა შესაფერი განკარგულება.

17 დეკემბერი.

ლონდონი. daily chronide-ს გაუგონია, იაპონიამ შეისყიდა არგენტინის ჯავშნიანი გემები „მორენო“ და „რივადავია“, რომლებიც რუსეთის მართებლობას უნდოდა ეყიდნა, ხოლო მცირე ფასს აძლევდა.

პეკინი. იუანშიკაის დიდი თათბირი ჰქონია იაპონიის მოხელეებთან, ერთ მილიონ ტაელად ღირებულ თოფ-იარაღისა და საომარ ნივთების შეძენის შესახებ. იაპონიამ განუცხადა არ შემიძლიან დავაკმაყოფილო ესეთი მოთხოვნილებაო. ვიცე-კოროლი, საფიქრებელია, ეხლა ევროპის მექარხნეებს მიმართავს.

რომი. გერმანიის დელეგატები 19 დეკემბერს მოვლენ რომს სავაჭრო ხელშეკრულობის დასამთავრებლად.

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმი 20 დეკემბერს ცოტას ხნობით იტალიის მიემგზავრება.

ტოკიო. გამოქვეყნებულია კაბინეტის მიერ მიღებული და საიდუმლო რჩევისაგან დამტკიცებული საგანგებო მოხსენებანი, თანხმად რომლებისა მართებლობას განუსაზღვრელი კრედიტი ეძლევა სამხედრო საჭიროებისათვის სახელმწიფოს დასაცველად. გამოიცა კიდევ სამი განკარგულება: პირველი, სეულ-ფუზანის რკინის გზა უნდა დაემორჩილოს მართებლობის კონტროლს; მეორე, შესაფერად უნდა მოეწყოს უმთავრესი ბანაკი და შტაბი, ვინიცობაა ომი გამოცხადდა და მესამე, დაარსდეს სამხედრო რჩევა. ამით დამთავრდება იაპონიის მზადება ყოველ მომავალ შემთხვევისათვის.

ნიუ-იორკი. რუსეთი და იაპონია დიდძალ ხორცსა ყიდულობენ.

ჩიკაგო. სადგურ პოლპრედანოდგან 100,000 ბოჩკა ფქვილი მიაქვთ იაპონიისათვის. ნორფოკლში 11,500 ტონ ქვა-ნახშირს უდებენ გემებს იაპონიისათვის.

სოფია (მართებლობის მომხრეთა ცნობა). ის ამბავი, ვითომც ბულგარიის აგენტს პეტერბურგში სტანჩევს დაევალა თავად ფერდინანდის წერილი წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს, უსაბუთოა.

ასხაბადი. „ზაკასპ. ობოზრ.“ ამბობს, რომ სომხურ გაზეთ „ნორ-დარის“ ამბავი, მრავალ რუსულ გაზეთების მიერ გადაბეჭდილი, ვითომც სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ თურქმენებს ასტრაბადის გუბერნიაში ეხმარებოდნენ თანამოძმენი იმიერ-კასპიის ოლქისა ტყუილიაო.

პეკინი. სამის საშუალო პროვინციების ვიცე-კოროლები ირწმუნებიან, რომ იმათ ჰყავთ 90,000 ჯარის-კაცი, უცხოელ ოფიცრების გაწვრთნილი.

პეტერბურგის ბირჟა 16 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,00
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	$37,67^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$99^{1}/_{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ. ბანკისა	$95^{1}/_{8}$ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	$443^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$284^{1}/_{4}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
$4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

„ლევან ბატონიშვილი“ თხზ. თ. ხუსკივაძისა, ფ. 10 კაპ.

2. „ჯიანეტა“ თარ. ა. ი. ნიკოლაძისა, ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კანტორიდამ (ქ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემბრიდამ 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30 პროცენტი დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა I და II ნაწ. ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) „საქართველოს ისტორია“ ბარათაშვილისა I და II ნაწ. და დ) თხზ. გრ. აბაშიძისა—40% დაკლებით.

იბეჭდება და მალე გამოვა გიორგი წერეთლის თხზ. III ტომი.

10—6—7


Духи, мыло и цвѣточный о-де-колонъ
Т-ва А. Ралле и Ко
Парфюмерія
„Шампака“

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—34)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

სოლეიმან-ხანი (ჩაცივებით უცქერის იუსუფს). წადი. შენი რჩევა კარგია!

ყარა-იუსუფი (ჰკოცნის დედა-მიწას სოლეიმანის ფერხთა მახლობლად). გაფართოვდეს ჩრდილი შენი, ძეო დესტონისა. (მიდის. შემოდის ზეინაბი და მოჰყავს რუქაია, ისახარიც მათ მოსდევს უკან).

VII

ზეინაბი. მოდი, დადგა ღამე შენის ბედნიერებისა, რუქაია.

რუქაია (შიშით კანკალებს). მეფე-ბატონი სასტიკია და მრისხანე, მეშინიან...

ზეინაბი (მიიყვანს მხარ-თეძოზე წამოწოლილ სოლეიმანთან). მუხლი მოიდრიკე ხელმწიფის წინაშე, ლამაზო, და უამბე ზღაპარი. (სოლეიმანს). მიაქციე სხივი შენის ნათელისა, მეფეთა მძლეო. კოკობი ვარდი ელის მაგ სხივს, რომ გაიფურჩქნოს და გაშალოს თვისნი სურნელოვანი ფურცელნი. (გავლის ტერასისაკენ და დაჯდება სვეტთან ჩრდილში. ისახარი მიაწოდებს თარს და ჯდება მის ახლოს სვეტის ბალიშზედ და სვეტს გარსა ჰხვევს ხელებს. სოლეიმანი მოაშორებს ჩადრს რუქაიას და ხელს უსვამს თმებზედ. რუქაია მის ფეხქვეშ არის მუხლ-მოდრეკილი, ხმა უკანკალებს, ლამაზი პირი-სახე შიშით გაფითრებული აქვს. თვალები ისეთი აქვს, თითქო ნაპერწკლები სცვივაო)

სოლეიმან-ხანი. სადაური ხარ, სად დაიბადე?

რუქაია. რა მოგახსენოთ, მბრძანებელო, მახსოვს, რომ პატარა ვიყავ, როცა სამეგრელოში მომიყვანეს. ხომალდით მოვცურავდით ზღვაზე. მერე იქ ვიზრდებოდი, მთა-ალაგას, ზღვის მახლობლად.

სოლეიმან-ხანი. ვინ გასწავლა ზღაპრები.

რუქაია. მოხუცმა დედა-კაცებმა. იმათ მასწავლეს სიმღერაცა და ცეკვაც. ყოველივე ვიცი, რაც-კი გასიამოვნებს, ხელმწიფეო. მიბრძანე და გიამბობ, როგორ უყვარდათ ერთმანეთი ქარს,—ზღვათა მეფეს და გურიის მეფის ასულს.

სოლეიმან-ხანი. აბა, მიამბე.

(ზეინაბი უკრავს თარზე ნაზსა და გრძნობით აღსავსე ჰანგს აღმოსავლეთის ხასიათისას).

რუქაია. გურიის მეფეს ისეთის შვენების ქალი ჰყავდა, რომ მთის მწვერვალთა თოვლი მუქი სჩანდა იმის სითეთრესთან, ყორნის ფრთა ნაცრის ფერი იყო იმის თმის ლაღლაღებთან შედარებით; ბროწეულის ყვავილი ყვითელი ეგონებოდა ადამიანს იმის მარჯნის ფერ ტუჩებთან. ეკლის ბუჩქთან რომ დახრილიყო, ზედ ვარდები იფინებოდა. როცა ზაფხულობით ზღვაში ბანაობდა, ზღვის ზვირთნი ამბრისა და მუშკის სურნელებასა სცემდა. მამა-კაცის თვალი არ მოჰხვედროდა მის პირი-სახეს, ასი სამ-თვალა და ორასი ცალ-თვალა მდევი დააყენა მრისხანე მამამ მის მცველად. ნიავთ ნაზი მობერვა უტკბუცავდა ლოყებს, გაჰქროლეს ერთხელ იალბუზის მწვერვალზედ და უამბეს მისის შვენიერების ამბავი თვით ქარს, ყოველ ქართა მეფეს, ხომალდთა ძლიერს მსხვრეველს. იფეთქა სიყვარულმა მის ახოვანს გულ-მკერდში. მეფე-ქარმა შეისხა შავი ფრთები და გაექანა ფრენით ზღვისაკენ. იმ ღამეს ვერც ერთმა ხომალდმა ვეღარ მიაღწია ნაპირს. უზარმაზარი მუხისა და ნაძვის ხეები დაჰგლიჯა და დაუშრიტა თვალები მცველ დევებს, დააბრმავა ქვიშითა და ქვებით, გადაჰგლიჯა მეფის ასულის სასახლეს სახურავი, გააშუქა თვისის ფრთების ელვით და დაიბნიდა ალტაცებითა და გულის-თქმით: მეფის ასული იწვა სარეცელზედ, რომელზედაც ეფინა უცხო, იშვიათ ფრინველთა ბუმბულისა და გერმის ლეიბი (მგზნებარედ; თან ეალერსება სოლეიმანს უფრო და უფრო მეტის გაბედვით). მზილი, გიშერივით შავი თმა ზედ ეყარა მის მარგალიტივით უზადო ტანს. სუნთქავდა ისე, თითქო მთის ყვავილ-ბალახის სურნელება გარშემო მოფენილიყო. სიყვარულით დამთვრალმა ლამაზმა მეფე-ქარმა ამოისუნთქა, მიმოაბნია ხშირი თმა და მეფე-ქარმა დაინახა... (გაისმის ობლად, ცხადად, გაუბედავად დარეკილის ზარის მთრთოლვარე ხმა. სოლეიმანი წამოიწევს ცალ-ხელზე დაბჯენილი. რუქაია შეშინებული ეკვრის სოლეიმანის მუხლებს. სოლეიმანის სახეზე საშინელი მრისხანება იხატება).

სოლეიმან-ხანი. - ყარა-იუსუფ! (ყარა-იუსუფი შემორბის, შიშისაგან მკვდარივით გაფითრებული). ეს რა ამბავია?

VIII

ყარა-იუსუფი. დიდებულო ხელმწიფეო! მხოლოდ ერთხელ ჩამოჰკრეს! კათალიკოსმა დაუყოვნებლივ დაჰგზავნა ყველგან გზირნი... ალბად ერთ-ერთმა ვერ მიუსწრო. . ხვალ იმათი აღდგომაა...

სოლეიმან-ხანი (დამშვიდებით).—ხვალ დილით კათალიკოსის თავი მოიტანე. ისეთი წითელი უნდა იყოს, როგორც იმათის აღდგომის კვერცხი. ალ-ყურანში სწერია: ისე მოექეცი, რომ მაგალითად გამოიყენონ, ვინც მათ შემდეგ იქმნებიანო. გასწი! (წამოწვება ტახტზედ და მიიხიდავს რუქაიას). განაგრძე, რუქაია.

ისახარი (ჩუმად ზეინაბს). ეს მეორე აღდგომაა ასეთი.

ზეინაბი (დაიწყებს თარის კვრას)—უკანასკნელია ასეთი აღდგომა.

რუქაია (განაგრძობს ზღაპრის თქმას). და დაინახა ლამაზმა მეფე-ქარმა...

ფარდა

(დასასრული პირველის მოქმედებისა)

გრ. ყიფშიძე.

Дозволено цензурою Тифлисъ 17 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი სარაჯიშვილი.